ცნობის ფურცელი

№ 1806 კვირა, 12 მაისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1806

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები ,რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ამ №-თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ სურათებიანი დამატების მე-40 ნომერი.

მზითევის დაზღვევა.

დამზღვევ საზოგადოებამ ,,რუსეთმა“ გადაიხადა დაზღვეულ ქალთა სამზითვოდ

1888 წლიდან	1892 წლამდე	108	ახალგაზრდა ქალთათვის	226,100 მან.
1893 „	1895 „	326	„	„ 710,600 „
1896 „	1898 „	822	„	„ 1.694,300 „
1899 „	1901 „	1.562	„	„ 3.087,300 „

1 იანვ. 1902 წ. დაზღვეულია სამზითვო 29,742 ახალგაზრდა ქალისთვის 50.311,300 მ.

დაზღვევის სურვილის განცხადებას იღებენ და ყოველგვარ ცნობებს იძლევიან გამგეობაში ს.-პეტერბურგში (Большая Морская, собств. домъ, № 37). ტფილისის განყოფილებაში (სერგიევის ქუჩა, სახ. № 6) და საზოგადოების აგენტებისაგან რუსეთის იმპერიის ყველა ქალაქებში. (3—3)

მესამე საარჩევნო ნაწილის ამომრჩეველთ იწვევენ

საზოგადო კრებაზე,

რომელიც დანიშნულია დღეს, 12 მაისს, დილის 11 საათზე ვეტცელის სასტუმროში (შესავალი ქსნიას ქუჩიდან). კრებამ უნდა შეადგინოს ხმოსნად ასარჩევ პირების სია. (1—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

კ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ი. ზ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ქირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები— მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სკინიძეილისა, № 21. (ვორონცოვის ხიდის პირდაპირ.- ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საქმიო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუ. ლაევის სახლი.

ქართული თეატრი

« უკანასკნელი წარმოდგენა »

კვირას, 12 მაისს 1902 წელს

ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა და სცენის მოყვარეთა მიერ

წარმოდგენილი იქნება

ახალი პიესა

I.

ძალა აღმართსა ხნავს

კომედ. 4 მოქმედ. გად. ვ. გუნიას მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, გარგარეთელი, გიგოშვილი.

ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, ივანიძე და სხვანი.

II

დივერტისმენტი

მონაწილეობენ: ქ. ანდრონიკაშვილის, კ. შათირიშვილი, ა. კავსაძე, ან. ადამიძე.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

საზაფხულო სადგომი

ტფილისის საკრებულოსი

კვირას, 12 მაისს 1902 წელს,

ტფილისის ნოქართა ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოების ფონდის გასამლიერებლად გაიმართება

სეირნობა და წარმოდგენა.

ბაღი მშვენივრად იქნება მორთული, ხოლო საღამოთი გაჩირაღდნებული მხატვარ-დეკორატორის ბ. ნოვაკის მიერ. ოთხი საათიდან დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, საზანდარი—მოყვარენი და პალანდინოს მანდოლინის დამკვრელთა დასი.

ბაღში შესვლა ღირს 30 კაპ., ბავშვებისთვის 20 კაპ. ყოველ საბავშო ბილეთს საჩუქარი ექნება. სეირნობა დაიწყება ოთხ საათზე, წარმოდგენა $8^1/_2$ სათზე. ბილეთების მიღება შეიძლება მიასნიკოვის მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე. დაწვრილებით აფიშებში. (1—1)

ბებია

ვ. მ. ლიმონ[illegible]

ცხოვრობს სუდების ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, № 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლოს რიგზე. (0—4)

ექიმი

ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—6 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24. ტელეფონი № 642.

საზღვარ-გარედ

სენ-მარტინკის კატასტროფა. ვოლკანი ჯერ კიდევ არ დაწყნარებულა. კუნძულის მცხოვრებნი მეტად შეშინებულნი არიან. მთელი კუნძულის მდგომარეობა შემაძრწუნებელია. ქ. ფორტ-დე-ფრანსში ყოველი საქმე შეჩერებულია. ხალხი ეკლესიებში იკრიბება, სადაც პანაშვიდებს იხდიან დაღუპულთა სულის მოსახსენებლად.

ქ. სენ-პიერში ბევრი საუცხოვო მოვლენები აღმოაჩინეს: მაგალითად, ნახეს თითქმის სრულებით ნახშირად ქცეული ქალი და ხელსახოცი კი, რომელიც ქალს ტუჩზე ჰქონდა მიდებული, სრულებით ხელ-უხლებელი იყო ცეცხლისაგან. ზოგიერთ დამწვარ ქალს ფეხსაცმელი გადარჩენოდა.

მარტინკის ბანკში, გარდა ნაღდი ფულისა, იპოვეს ძვირფასი ნივთეულობა ერთ მილიონ ფრანკად ღირებული.

სენ-ვინცენტის კუნძულის დაღუპვასაც მოელიან ყოველ წუთს. ხშირად ისმის საშინელი აფეთქება და მიწის ქვეშითი გუგუნი. ვოლკანიდან დიდძალი ორთქლი და ფერფლი ამოდის. ვოლკანის ამოხეთქას გაუნადგურებია ამ კუნძულის მთელი ჩრდილოეთი ნაწილი. გადნობილი ნივთიერება (ლავა) თანდათან წინ მიდის და უკვე რამდენიმე სოფელი დაიღუპა. ქ. კინგსტონის (კუნძულ სენ-ვინცენტის უმთავრესი ქალაქი) მცხოვრებნი სარდაფებში იმალებიან და იქ მოელიან შველას და დახმარებას. სქელ და შავ ღრუბლებით არის დაფარული მთელი კუნძული და ზღვაც რამდენიმე მილის მანძილზე. გახურებულ ქვებისა და ფერფლის მიზეზით გემები ახლო ვერ მისულან ნაპირზე. სენ-ვინცენტასა და სენ-ლუჩიას შორის ზღვა დაფარულია სქელის ფერფლით და შორს მოსჩანს გადნობილ ნივთიერების კუნძულები. ამასთანავე მოელიან სასტიკ ქარიშხალს. როგორც ამბობენ, ინგლისის მთავრობას განზრახვა უნდა ჰქონდეს სენ-ვინცენტიდან მცხოვრებნი სხვაგან (გვიანაში) გადაასახლოს (სენ-ვინცენტი ინგლისელებისაა).

ანტილის კუნძულების (მარტინკის, სენ-ვინცენტის და სხვების) ვოლკანიურ მოქმედებას მოჰყვა სხვა ვოლკანიურ ადგილების გამოღვიძებაც. ნიკარაგუადან (ამერიკა) იტყობინებიან, რომ ვოლკანი მომოტომბო (მა-

ფელეტონი

იმერეთი

ბარონ დე-ბაის მოგზაურობიდან

(წერილი პარიზიდან)

ეს მეხუთეჯერ ეწვია ჩვენს ქვეყანას ფრანგი მოგზაური და არქეოლოგოსი ბარონ დე-ბაი, რომ უფრო დაახლოვებით გაეცნო საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხენი, მისნი არქეოლოგიურნი ნაშთნი, ხალხის ზნე ჩვეულება და სხვ.

ამ გზის ბარონ დე-ბაი ჩვენში იყო წარსულის წლის შემოდგომაზე და ინახულა ებრაელნი-მთიულნი (ჩრდილო კავკასში) და ქუთაისის გუბერნია: იმერეთი, სამეგრელო და გურია. გავკასიის ებრაელთა შორის ბარონ დე-ბაის მოგზაურობის შესახებ „ცნობ. ფურც.“-ის მკითხველებთან უკვე გვქონდა ბაასი. ამ ჟამად აზრადა გვაქვს მკითხველს გავაცნოთ შინაარსი იმ კონფერენციისა, რომელიც 24 აპრილს ფრანგმა მოგზაურმა იმერეთის შესახებ წაიკითხა პარიზის საგეოგრაფიო საზოგადოების დარბაზში.

როგორც ვიცით, ბარონ დე-ბაი ეკუთვნის ჩვენის ქვეყნის და ერის თაყვანისმცემელთა გუნდს. იგი მოხიბლული იყო უზომოდ, როცა პირველად ნახა ეს სამოთხისებური მხარე და მისნი მკვიდრნი. შემდეგში, რაც უფრო აკვირდებოდა აქაურობას, არა ერთხელ გამოუთქვამს ის აზრი, რომ ადამიანის ენა მეტად სუსტია სავსებით გამოსათქმელად ყველა იმ აღტაცებისა და ნეტარებისა, რასაც გრძნობს გული მისი ამ საამო ედემის ჭვრეტის დროსაო. და აჰა ახლა, მეხუთე მოგზაურობის დროსაც, მოგზაურის თვალში ჩვენს ქვეყანას არამც თუ დაჰკლებია მიმზიდველობა და სურათხატება, არამედ უმეტესის ძლიერებით შემკულა, უფრო გაზრდილა. და მოხიბლული მოგზაურიც სცდილობს, როგორც ნამდვილი ფრანგი, ქათინაურები გვითხრას. ამკობს მდიდარს ბუნებას, აქებს მკვიდრთ, რომელნიც, მისის სიტყვით, კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენელნი არიან. შეიძლებაო,—ეუბნება ბარონ დე-ბაი თავისს თანამემამულეთ,— გაიაროთ საქართველო ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, იხილოთ ეს ცოცხალი ფეერია, ქება უძღვნათ, უგალობოთ, დახატოთ მისი მშვენიერება, მაგრამ ნუ იტყვით, რომ ამ დიდებულ ბუნებას შესაფერი საგალობელი უგალობოთ, სავსებით აღწეროთ მისი მშვენიერება ან დახატოთო...

ამ ქების შემდეგ ბარონ დე-ბაი მსმენელთ აცნობს საქართველოს ნაწილების გეოგრაფიულ სახელებს, უხსნის ქართულის ენის და მისის კილოკავების (მეგრულის და სვანურის) ტერიტორიას, ასე რომ მსმენელისათვის ცნებანი: მეგრელი, სვანი, კახელი, გურული და სხ. წარმოადგენენ ნაწილებს ერთის ერისას, სხვა-და-სხვა კუთხეში გაფანტულისას. კარგი გაკვეთილია ზოგიერთ ადგილობრივ პუბლიცისტისა და ორიგინალურ ეტნოგრაფისათვის, რომელნიც განგებ თუ უმეცრებით სცდილობენ საცოდავს საქართველოში რამდენისამე ერის წარმომადგენელნი დაასახლონ და ჩვენის ერის რიცხვი დაამცირონ.

ლიხის მთის გადმოლახვისათანავე მოგზაურს თვალწინ უდგება ცოცხალი იმერელი და ის ფიზიკური განსხვავება, რომელიც არსებობს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთა შორის. ამ განსხვავების მიზეზად მიაჩნია უცხო ტომის ხალხთა სისხლის გავლენა: აღმოსავლეთში—სპარსთა, ხოლო დასავლეთში: ბერძენთა, რომაელთა და ოსმალთა... აღნიშნავს გამჭრიახობას იმერელთა, ფულის შეძენის სიყვარულს, ვაჭრობისადმი მიდრეკილებას მათსას.

პირველად ბარონ დე-ბაი ქუთაისში მოდის. ამ ქალაქის აღწერას დიდხანს არ ანდომებს. მისი კოხტა მდებარეობა ხიბლავს, დიდებული ნაშთი ბაგრატის ტაძრისა, ქალაქს რომ თავს დასცქერის, ფრანგ-მოგზაურს რამდენსამე მწარე სიტყვას ათქმევინებს ჩვენის უზრდობის შესახებ. და ამასობაში ხვდება ჩვენს საყვარელს მგოსანს აკაკის. პოეტის სახელს მეტის ქებით ახსენებს ბარონ დე-ბაი. მაგრამ სჯობია თვითონ ვალაპარაკოთ. „რა სასიამოვნო სურპრიზი მომელოდა რიონის ნაპირზე! აქ შემხვდა ჩემი მეგობარი, რომელშიაც განხორციელებულია ამაღლებული და კეთილშობილური ხასიათი იმერთა. თვისის გენიოსობით და თვისის პიროვნებისა და ნაწარმოებთა მომხიბვლელობით გვიჩვენებს, თუ რა სიმაღლემდე მიაღწევს ნაციონალური ჭკუა-გონება, სამშობლო ნიადაგზე განვითარებული და უმწვერვალესობამდე მისული! პოეტი აკაკი წერეთელი განთქმული მგოსანი თვისის სამშობლოსი, ენაწყლიანი და ზეგარდმო მადლით ცხებული გამომთქმელია ქართველის გულისთქმისა იმერულს კილოზე. როგორც ბოტანიკისა ისე ეტნოგრაფიისა ცოტა რამ გამეგება და მგონია, რომ ადამიანნი მცენარეთა მსგავსად უნდა იყვნენ შესწავლილნი. როცა გვსურს კარგათ შევისწავლოთ რომელიმე ჯიში ანუ ნათესავი, საჭიროა ავირჩიოთ საუკეთესო ნიმუში, უფრო ბრწყინვალე, უფრო ნიშანდობლივი იმათს შორის, რომელნიც სამშობლო ნიადაგზე აღიზარდნენ, გაიფურჩქნენ ამ ნიადაგის საზრდოთი და რომელნიც იმავე ცის ქვეშ დასჭკნენ, რომელ ცის ქვეშაც მისთა წინაპართა შესწყვიტეს სიცოცხლე. აკაკი წერეთელი პირველხარისხოვანი პოეტია და მისის აზრების ხსენება არა ერთხელ მოგვიხდება ჩვენის საუბრის დროს“.

ნათქვამის დასამტკიცებლად მოგზაურმა

ნაგუას ტბის ახლო) მოქმედობს და რომ მისმა ამოხეთქამ რამდენიმე ადგილი უკვე გაანადგურა. მანაგუას ნაპირას მდებარე დოკები და ვოკზალი დანგრეულია. ვეზუვის ვულკანიც (იტალია) ვერ არის დაწყნარებული: ნეაპოლიტანელი ობსერვატორია ატყობინებს იტალიის მთავრობას, რომ ვოლკანი ამოხეთქას აპირებს და რომ პომპეის ფერდოებზე მდებარე სოფლები საშიშარ მდგომარეობაში არიან.

12 მაისს მოახერხეს ქ. სენ-პიერში შესვლა: ყველაფერი დამწვარ-დანგრეულია. დამოუნის რკინის კარები კიდევ სდგას. საავადმყოფოში რკინის კრაოტები გალუნულია, მაგრამ ცეცხლის კვალი არ ემჩნევათ; ზეწრები და საბნები აღარ არის. ქუჩებზე ორი ათასი მკვდარი უნახავთ. ქალაქის შუა ნაწილი და ფორტი (სიმაგრე) რამდენიმე არშინის ფერფლის ქვეშაა დამარხული. ნავთსადგურის ახლო რამდენიმე სახლი გადარჩენილა, მაგრამ შიგ მცხოვრებნი კი ყველანი დაღუპულან ისე, თითქოს მეხი დასცემოდეთ თავზე: დახოცილებს რაღაც საოცარი პოზები აქვთ. ორი ათასამდე კაცი ნახეს გარედან სრულებით ნახშირად ქცეული. უმრავლესობა თავ-დაღმა წევს, წინ ხელებ გაშვერილი. ერთი მკვდარი ქალი ნახეს სრულებით ხელუხლებელ ტომარაზე მჯდარი. სენ-პიერის ახლო მდებარე მთები თითქოს გაპარსულები არიან: არც ხე, არც ჩირგვი არ გადარჩენილა.

სენ-პიერის სამხრეთით მდებარე სოფელი ირინე თითქმის სრულებით გადამწვარა და მცხოვრებნიც სულ ცოტა გადარჩენილა. ერთი გადარჩენილთაგანი ამბობს, რომ ზღვა მეტად ცხელი იყო და სოფელს მოედოო.

„დეილი მაილ“-ის კორესპონდენტის სიტყვით, ქ. გრანრივიერა (მარტინიკზე) მდინარეს გაუნადგურებია: იგი ერთბაშად გადმოსულა ნაპირებზე, წაულეკია ქალაქის ნაწილი და სრულებით გაჩერებულა; რამდენიმე ხნის შემდეგ მდინარეობა ისევ განუგრძვია, მაგრამ მალე ისევ შეჩერებულა; ეხლაც თურმე მდინარე ხან დგას, ხან მდინარეობს.

მექსიკიდან იტყობინებიან, რომ ვოლკან კოლიმას მოქმედება თან-და-თან ძლიერდება. ხალხი გარბის ქალაქისაკენ, რომელიც 50 ვერსტის მანძილზეა. ყველა დიდ მიწის ძვრას მოელის, როგორც ეს 1868-ში ყოფილა.

კოლიმა 12.000 ფუტის სიმაღლეზეა და დაჰყურებს სქლად დასახლებულ ნაყოფიერ ჭალებს·

ვულკანი იონაც (ჩრდილოეთი ამერიკა) უმატებს მოქმედებას. შიშობენ, რომ ანტილის კუნძულების ვულკანიურ მოქმედებას კავშირი აქვს კოლიმსა და იონას მოქმედებასთან, თუმცა მათ თითქმის 4000 ვერსტის მანძილი ჰყოფს.

ჰუნგრეთი. ავსტრიის უღლისაგან განთავისუფლებულ ჰუნგრეთს მეტად ემდურიან იქ მცხოვრები პატარა ერები: გვდევნიან, გვავიწროვებენ და ჩვენ გადაგვარებას სცდილობენო. სამდურავს საბუთი აქვს და იგი სამართლიანიც არის, მაგრამ ჰუნგრეთის პოლიტიკას პატარა ერების შესახებ მაინც არა აქვს ისეთი ძალ-მომრეობითი ხასიათი, როგორც გერმანიის პოლიტიკას პოლონელების შესახებ. ჰუნგრეთში მცხოვრებ სლოვაკების სახალხო სკოლებში, მაგალითად, სწავლება სლოვაკურ ენაზე სწარმოებს და ჰუნგრული ენა მეორე ხარისხოვან საგნად ითვლება.

✿ ჰუნგრეთი მდიდარ მიწად-მოქმედ ქვეყნად ითვლება და გარეგნად მართლა ეგრე სჩანს, მაგრამ აგრარული კითხვა აქ, თუ მეტად არა, ნაკლებად არ არის გამწვავებული, ვიდრე, მაგალითად, იტალიაში. თითქმის ნახევარი დასამუშავებელ მიწებისა ეკუთვნის ხაზინას და კათოლიკე სამღვდელოებას, მეოთხედი თავად-აზნაურობისაა, რომელიც ყოველ ღონეს ღონობს ხელიდან არ გაუშვას ეს სიმდიდრე. გლეხები მეტად შევიწროებულ მდგომარეობაში არიან უმამულობისა და არენდის ცუდ პირობების გამო და ამიტომაც აგრარული სოციალისმი ისე არსად არ არის გავრცელებული, როგორც ჰუნგრეთში. გლეხების და მემამულეების დამოკიდებულება აქ იმდენად არის გამწვავებული, რომ პურის მომკა ჯარის კაცების თანა-დასწრებით ხდება ხოლმე მეტ-წილად.

ახალი ამბავი

◆ პეტერბურგიდან გვწერენ, რომ იქ წელს მხოლოდ ორი **ჩვენებური სტუდენტი** ათავებს კურსს უნივერსიტეტში: ილ. აფაქიძე—იურიდიულს ფაკულტეტზე და პოლ. იოსელიანი—ფილოლოგიურზე.

ჩვენი ორი ახალგაზდა მეცნიერი—თავ. ავალიშვილი და ბ. ჯავახიშვილი—სამეცნიერო მიზნით არიან გაგზავნილნი, პირველი—გერმანიაში, მეორე—პალესტინაში.

◆ 1886 წლიდან **დავაა** ატეხილი ბაქოს გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველობასა და ტაგარა ხანუმ ბაკიხანოვის მემკვიდრეთა შორის **ნავთიან ადგილების შესახებ.** აღნიშნული დავა ხაზინამ დაუწყო მაშინ, როდესაც ბაქოს გუბერნიის სოფელ რომანაში მდებარე 11 ნაჭერი ნავთიანი მიწა ზომით 160 დესეტინა, რომელიც დაფასებულია 80 მილიონ მანეთად, ბაკიხანოვის მემკვიდრეებმა სამემკვიდრო სიაში შეიტანეს. რამდენიმე წლის წინად ეს საქმე განიხილა ბაქოს ოლქის სასამართლომ, რომელმაც საფუძვლიანად იცნო სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს იურისკონსულტის ეფიმოვის მიერ წარდგენილი მოსაზრებანი და საბუთები იმისა, რომ ეს მიწა ხაზინას ეკუთვნის და დავა ხაზინის სასარგებლოდ გადასწყვიტა. ბაკიხანოვის მემკვიდრეთ ბაქოს ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება განასაჩივრეს ტფილისის სამოსამართლო პალატაში, სადაც ეს საქმე, როგორც უკვე თავის დროზე ვაცნობეთ მკითხველთ, განიხილეს 3, 4 და 5 მაისს. სამოსამართლო პალატამ თვისი განაჩენი გამოაცხადა გუშინ, 11 მაისს, რომლითაც შეუცვლელად დაამტკიცა ბაქოს ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება. ბაკიხანოვების მემკვიდრეთა წარმომადგენლებმა განიზრახეს პალატის გარდაწყვეტილება უმართებულეს სენატში განასაჩივრონ.

◆ 10 მაისს, ქალაქის გამგეობის დარბაზში შესდგა შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიისა, რომელზედაც მიწვეულ იყვნენ აგრეთვე ტფილისის პოლიცმეისტერი კოვალიოვი, ხმოსანნი ექიმი ანანოვი. კ. მ. ალიხანოვი, ავთანდილოვი და თაიროვი. ამ სხდომაზედ უნდა განეხილათ საკითხი ქალაქის საშუალებით ტფილისში **საადრესო სტოლის** დაარსების შესახებ. კარგა ხნის მოლაპარაკების შემდეგ, ხმის უმეტესობით სხდომამ გადასწყვიტა დაარსებულ იქმნეს საადრესო სტოლი ქალაქის თვით-მმართველობის ხარჯით. უმეტესობის გარდაწყვეტილებას საფინანსო კომისია არ დაეთანხმა და ის აზრი გამოსთქვა, რომ საადრესო სტოლის დაარსება ჯერ ქალაქს არ შეუძლია, რადგანაც სტოლის შესანახად გადადებული შემოსავალი ხარჯს ვერ დაჰფარავსო.

◆ ხვალ, 13 მაისს, ამიერ-კავკასიის რკინის გზების სახელოსნოს თეატრში ქართული სცენის მოყვარენი წარმოადგენენ ფრანგულიდან ნათარგმნ 5 მოქმედებიან მელოდრამას „ორ ობოლს“. წარმოდგენა საღამოს 7 საათზედ დაიწყება.

◆ დღეს, დილის 11 საათზე, ვეტცელის სასტუმროში დანიშნულია საზოგადო **კრება მესამე ნაწილის ამომრჩევლებისა.** კრებამ საბოლოოდ უნდა განიხილოს ამომრჩეველთა კომიტეტისაგან შედგენილი კანდიდატების სია. მოგვყავს აქვე ეს სია.

ინჟ. ა. ს. ბაბოვი, ექ. ა. ი. ხატისოვი, იურისტი ივ. თხორჟევსკი, პედაგ. ი. გ. გამრეკელიძე, ივ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი. ბუჰგ. დ. თ. ტიგრანოვი, ნოტარ. დ. ი. მდებროვი, ექ. ს. ი. გაწაძე, იურისტი ა. ი. მიტკევიჩი, ექიმი ნ. ა. ხუდადოვი, გ. ზ. მელიქკარაკოზოვი, ინჟ. ეგოროვი, ს. თ. ზურელაშვილი, პედაგ. ნ. ნ. ოსტროგორსკი, პედაგ. ომ. ხრამელაშვილი, მოხელე შარიფოვი, ინჟ. ფლორენსკი, პედაგ. ალ. მირიანაშვილი, მ. ქ. ყიფიანი, პედაგ. ბოგოიავლენსკი, ნ. მ. ყარა-მურზა, შტაბ-როტმისტრი ბ. ს. ესაძე, ა. ბ. ევანგულოვი, მოხელე ი. ბ. ვექილოვი, ინჟ. გრიქუროვი, ი. მ. მაიერი, ექიმი ლუნკევიჩი, ტეხნიკი ო. ზ. ფანიევი, პედაგოგი იერ. გულისაშვილი, პედაგ. ი. ზ. ტატიშვილი, ინჟ. პ. გ. ზუბალოვი, ვაჭარი ვ. გ. ბერელაშვილი, ტეხნიკი ს. ვ. დავიდოვი, ტეხნ. დეკაპრელევიჩი, ინჟ. ლენჩევსკი, ა. ი. კაზაკოვი, ვ. ვ. გრაბოვსკი, პედაგ. ა. ი. ნატროშვილი, ინჟ. აირალოვი, ტ. ა. ფეფელოვი, იურისტი ნ. ი. არგუთინსკი, ბუჰგალტ. პ. გ. ისარლიშვილი, ნ. ი. ვორონინი, ბუჰგალტ. აბრამიანცი, ექიმი ი. ს. ბაბოვი, ინჟ. ძერჟანოვსკი, ვაჭარი ალიბეკოვი, მ. ი. ბლიოტკინი, პედაგ. ი. ს. მესტიაშვილი, ინჟ. შაჰ-ბუდაგოვი, ვაჭარი ა. ა. ენფიანჯიანცი, ექ. აგასაროვი, ვაჭარი პ. ნ. ფრიდონოვი, მოხელე ფ. ი. ბოგდანოვი მ. მ. ბელიაევი, პედაგ. იაგუდოვი, პედაგ. ა. ს. დუდაძე, იურისტი პ. მ. დოლუხანოვი, იურისტი ნ. ხ. ქალანთარი, პედაგ. ა. პ. ანდრეევი და არხიტექტ. ა. გ. როტინოვი.

◆ გუშინ-წინ, 10 მაისს, კავკასიის მთავარ-მართებელმა თავადმა გოლიცინმა დაათვალიერა სათავად-აზნაურო სკოლის შენობა, რომელსაც ახლა აშენებენ ვერაზე. მისს ბრწყინვალებას დაუთვალიერებია ყოველი წვრილმანიც-კი შენობისა, გამოუკითხავს შენობის ვითარების საქმე და ძალიანაც მოსწონებია სკოლის სადგომი.

◆ 30 აპრილს ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის **ახალის შენობის** აგების საქმე. კომისიამ გადასწყვიტა დაანგრიოს ეხლავე ძველი შენობა და ახლო მომავალში დაიწყოს ახალ შენობის აგება. მასალის მზადებას აღნიშნულ შენობისათვის უკვე შეუდგნენ.

◆ ქალაქის გამგეობის მესამე განყოფილებაში დაადგინეს ახალი წეს-რიგი, რომლის ძალითაც მთხოვნელებს და საქმის ხალხს **ტყუილად არ მოაცდევინებენ** დილიდან საღამომდე, როგორც აქამდის იყო, და მალე გაუკეთებენ სათხოვარ საქმეს. სხვათა შორის, ქალაქის ტეხნიკოსთ დაევალათ, წარმოდგენილი პლანები არა უგვიანეს სამის დღისა გაშინჯონ ხოლმე და დაუბრუნონ პატრონებს წარსადგენად, სადაც ჯერ არს.

◆ ამ დღეებში ტფილისის ქალაქის გამგეობის განკარგულებით, ქალაქის სკოლების **მოწაფეებს დაურიგეს** 250 მანეთის წიგნები და სურათები რუსეთის გამოჩენილ მწერლის ნ. ვ. გოგოლისა.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ დაადგინა ამ წელს დანიშნოს სამი

იმოწმა რამდენიმე ლექსი ჩვენის მგოსნისა, სახელდობრ: „სულიკო“, „ფუტკარი“, „სხვა-და-სხვა ერი“ და სხვ. თუმცა ლექსები პროზად იყო ნათარგმნი, მაგრამ პარიზის რჩეულ საზოგადოებით გაჭედილ დარბაზში დიდხანს არ შეწყვეტილა ტაშის კვრა მოწონების ნიშნად. არა ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა იმავე საზოგადოებაზე მშვენიერმა ჩაფიქრებულმა სახემ პოეტისამ, პროექციით ნაჩვენებმა. ჩვენს პოეტს და მისს ლექსებს რამდენისამე დღის შემდეგ ქება უძღვნა აქაურმა გაზეთმა „L'Eclair“-მა.

ბარონ დე-ბაი ქუთაისიდან გელათის მონასტერში ადის. ამ ჩვენის დიდების მოწამის ხილვაზე ვერ მოუთმენია ჩვენს სტუმარს თავისი განცვიფრება და სინანული არ გამოეთქვა: „ეს ნაშთნი ნათლად მოწმობენ დიდებულს წარსულს და თანამედროვე გულგრილობას. მათს მაღალ კედლებიდან გამოფიტული ქვები თან-და-თან სცვივა მსგავსად სასოწარკვეთილების ცრემლთა. თითქო თავის ხვედრისა რცხვენიათო, ეს ამაყნი ძეგლნი სუროსა და გარეულ ვაზის სუდარას ქვეშ იმალებიან“. აგვიწერს მონასტრის ისტორიას, დავით აღმაშენებელის ღვაწლსა და მისს როლს საქართველოს ისტორიაში, გვაცნობს მონასტერში დაცულს განძს, ზოგიერთ ჩვეულებას ქართველ მლოცველთა და სხვ.

იმერეთშივე ბარონ დე-ბაის დაუთვალიერებია სოფ. საჩხერე. გზა-გზა აგვიწერს შორაპანს, ჭიათურას, იქაურ ქვის-ქვის წარმოებას. საჩხერეში უცხო სტუმარს მასპინძლად უხვდება თავადი გიგო წერეთელი, რომლის სახლშიაც თავს იყრიან ადგილობრივნი თავადნი და თავიანთს სტუმარს აკვირვებენ ქართველურის სტუმართ-მოყვარეობითა და ლხინითა. საჩხერეშივე მოგზაურის ყურადღებას იპყრობს იქაური ბაზრობა, ურიების უბანი, იქაური სახლები. გვაცნობს სავანის ტაძარს, მღვიმევის მონასტერს, ჩვენებურის ხუროთმოძღვრების ნიმუშებს და იმერეთსაც თავს უკრავს.

იმერეთიდან ბარონ დე-ბაი გადმოდის სამეგრელოში. მაგრამ უდროობისა გამო ამ მხარეში ახალ-სენაკს იქით ვერსად მიდის, რომ სამეგრელოს მკვიდრნი უფრო დაახლოვებით გაიცნოს. აქებს მეგრელთა ჩაცმულობას, მათს სილამაზეს, აგვიწერს მათს სახლებს. ასე რომ ყველაზე ნაკლებ ცნობებს საქართველოს ამ კუთხის შესახებ იძლევა.

მესამე და უკანასკნელი პუნქტი ბარონ დე-ბაის მოგზაურობისა—გურია და მისი დედა-ქალაქი ოზურგეთია, სადაც ბ-ნი ნიკ. თავდგირიძე ყოველგვარს დახმარებას უწევს. აქ ჩვენი მოგზაური თითქმის ყველასფრის შესახებ გვეუბნება ორ-სამ სიტყვას: გურიელთა ჩამომავლობისა, ქალაქის მდებარეობისა, ბაზრობისა, მეაბრეშუმეობისა, ღვინის წურვისა, სოფლელთა ყოფა-ცხოვრების შესახებ. განსაკუთრებით მოხიბლულია მოგზაური გურულთა სილამაზით. ბოლოს მოგვითხრობს ლეგენდებს ვენახის შესახებ, იობისა და აბრეშუმის ჭიისას, ნოეს ქალიშვილებისას, ორიოდ ცრუმორწმუნეობას გურულებისას და თავისს კონფერენციას ამ მართლა და ჩვენთვის სანუგეშო სიტყვებით ათავებს:

„ძვირფასნო მკითხველნო, ეს ლეგენდანი, ეს ძველებურნი და თანამედროვე სიმღერანი, ახლა რომ გაგაცანით, განა რომ განსაკუთრებით ხელს გვიწყობენ გავიცნათ ნიჭიერება და პიროვნება იმ პატარა ერისა, რომლის ხასიათი, პატრიარქაულურისა და ბიბლიურის ზნე-ჩვეულებით გაჟღენთილი, სავსეა მომხიბვლელობითა. ამ ხალხს უფრო დამცველი დაერქმის თვის ტრადიციებისა და ეროვნულ სულისა, ვიდრე განათლების ხელის შემშლელი. თუ ვინიცობაა, ვისმეს ეს ერი ბარბაროსი და ველური ჰგონია, საკმაოა დაუახლოვდეს, გაიცნოს, რომ დაინახოს მასში პოეზია მომხიბვლელი, სიმამაცე გასაოცარი და უზომო სიყვარული დიდებისა და სახელის მოხვეჭისა, და ყოველივე ესენი ამაღლებენ მათს აღმსარებელთ. ყველა ამ ღირსებას ზედ ერთვის რაღაც გულუბრყვილობა, მოულოდნელობა, გულგახსნილობა, თავისებურობა, სიდიადე, სისადავე და ჰმატებს გემოსა და ლაზათს, იმ გემოსა და ლაზათს, რომელსაც ხელოვნების და მშვენიერების მოყვარენი პირველყოფილთა მხატვრობაში ჰსჭვრეტენ და იგემებენ ხოლმე. ეს ბიბლიური ლეგენდები უყვარსთ როგორც გლეხთ, ისე კეთილშობილთ. სიმღერას, როგორიცაა, მაგალითად, „სულიკო“, რომელშიაც სიყვარული ასეთის ხელოვნურის სინაზით არის [ნადიდები, გრძნობითა და ეშხით მღერიან როგორც ბეჩავი მცხოვრები სოფლისა, ისე თავადიშვილი. რაინდებისა და ტრუბადურთა დროების ნაშთს არა ჰპოვებთ ამ ქვეყანაში? მგონია, რომ კი.

„სანამ გავათავებდეთ, უნდა მოგახსენოთ, რომ საქართველოს ისტორია წარმოგვიდგენს ერთს შეუწყვეტელს ომს, რომელიც საუკუნოებით გრძელდებოდა. მიუხედავად ამისა, რამდენად მშვენიერია საუცხოვო ცისკარი ამ ხალხისა, ცისკარი, რომლის ვარსკვლავი წმ. ნინოა; რამდენად ბრწყინვალეა მისის დიდების აპოგეა მისის გვირგვინოსანებითურთ, რგორც მაგალითად დავითი და თამარია; რავდენად ტრაღიკულია მისის განსაცდელის ხანა მოწამეთურთ, როგორიც ქეთევან დედოფალია!... მაგრამ ჭირსა და ლხინში ამ საქართველომ შეიძლო დაეცვა თავისი ნაციონალური კეთილშობილური ხასიათი და განსაკუთრებით თავისი საუკუნო სიმშვენიერე.

„თავისი კალო გალეწა თუ არა ამ ქვეყანამ, როცა თავის ნებით რუსეთს შეუერთდა? არა, ამიტომ რომ ამ შემოერთების შემდეგაც მან წარმოშობა მხედართ-მთავარნი, რომლებიც გმირნი არიან; წარმოშობა მგოსანნი, რომელნიც გენიოსთა სახელს ატარებენ. ასე რომ ამ ქვეყანამ საუკუნოდ დაიცვა და კვლავაც დაიცვავს თავისს ტრადიციებსა, ვინაიდან მისი სული მამაცობისა და პოეზიისაგან არის შემდგარი. მისი ხვედრია—ამიერიდან იბრწყინოს უებრო ბრწყინვალებითა. ეს მშვენიერი განძი თითქო სარდიონთაგან იყოს შედგენილი, რომელთა ფერებში ჩაწნულია ივერიის შვილთა ღვინის ბრწყინვალება და გამოულეველი წყარო სისხლისა. ჩაწნულია სისხლი გმირული, რომელიც გამოულევლად სჩქეფდა და იჩქეფებს სამშობლოს იმ-

გუნდი სახელმწიფო მოხელეებისა, რომელთაც უნდა მოაწყონ კავკასიაში **სახელმწიფო გლეხთა ყოფა-ცხოვრება**.

◆ ათ მაისს, საღამოს ხუთ საათზე, გოგოლის ქუჩაზე ერთი ახალგაზდა ქალი გამორბოდა ყვირილით, რომელსაც უკან მოსდევდა ახალგაზდა კაცი დანით ხელში. ვიდრე ხალხი მიეშველებოდა, ახალგაზდა კაცმა რამდენჯერმე დაჰკრა ქალს დანა. კაცი შეიპყრეს; ქალი საავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც ჭრილობა შეუხვიეს. ჭრილობა საშიში არ აღმოჩნდა. კაცი აღმოჩნდა სანდრო დარჩიაშვილი, 24 წლისა დუქნის დახლიდარი; ხოლო ქალი 16 წლის ნინა ვარსიმავისა. მიზეზი უბედურებისა, როგორც ამბობენ, სიყვარული ყოფილა. საქმე გამომძიებელს გარდაეცა.

◆ გუშინ, 11 მაისს, დაასრულეს ქალაქის **ხორცის დუქნის** მოწყობა და იმედი აქვთ, დღეს დაიწყონ ვაჭრობა.

◆ გუშინ, 11 მაისს, ნაძალადევის ახლო იპოვეს უცნობი **კაცის გვამი**, რომელიც, როგორც ეტყობა, ქვით უნდა იყოს მოკლული. გამოძიება სწარმოებს.

◆ ოცდა-რვა მაისს, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება **კათოლიკეთა** საქველ-მოქმედო საზოგადოების წევრთა კრება.

◆ ქალაქის თავის მოადგილის განკარგულებით, 13 მაისს საბჭოს სხდომაზე განიხილავენ ქალაქის შემოსავალ-გასავლის **ხარჯთ-აღრიცხვას** ამ მიმდინარე წლისას.

◆ „ივერია“-ს გაუგია, რომ ყოვლადამღვდელო **კირიონი** ამთვის გასულს აპირებს რუსეთში გამგზავრებას, სადაც იგი ამას წინად იქმნა გადაყვანილი ეპისკოპოზად.

◆ ზუგდიდის მაზრის სოფ. დერჩელის საზოგადოებისათვის სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო აკიდობრივ მთავრობას თავის ნებით და არა საზოგადოების არჩევით დაუნიშნავს მამასახლისად ივანე კობალია. რამდენიმე ხნის შემდეგ მაზრის უფროსს მრავალი საჩივრები მისვლია კობალიაზე, ქრთამს იღებსო და სხვა-და-სხვა შევიწროებას აყენებს ხალხსო. სხვათა შორის, კობალიაზე საჩივარი შეუტანია სოფ. დარჩელის მცხოვრებს შამუგას, რომ კობალიამ გამლახაო. მამასახლისი კობალია პასუხის გებაში მიუციათ. ქუთაისის ოლქის სასამართლოს კობალია დამნაშავედ უცვნია მხოლოდ შამუგიას გალახვაში და გარდაუწყვეტია ოთხი თვით ციხეში დაპატიმრება. კობალიას ოლქის სასამართლოს განაჩენი, ვექილის თავ. ფალავას შუამდგომლობით, განუსაჩივრებია სამოსამართლო პალატაში; პალატამ გუშინ-წინ გაარჩია საქმე და კობალია გაამართლა.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზედ გადასწყვიტა მადლობა გამოუცხადოს ქ-ნ სურგუნოვისას, რომელმაც საქალაქო ბიბლიოთეკას შესწირა თავისი ბიბლიოთეკა.

◆ 9 მაისს, პოლიციის მე-5 ნაწილში, შუადღის 12 საათზე ფონ-ბრიუგენის მეეზოვეს ვასილ ვონიუშინის 2 წლის ბავშვი თამაშობდა ბალკონზე და გაუფრთხილებლობისა გამო $11\frac{1}{2}$ არშინის სიმაღლიდან გადმოვარდა ძირს. დაშავებული ბავშვი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს, მაგრამ იქ რამდენიმე წამის შემდეგ გარდაიცვალა.

◆ ათ მაისს ქუჩაში მიდიოდა ტფილისში ცნობილი ვაჭარი ნ. შ. ფითოევი, რომელსაც გული შეუწუხდა და დაეცა ქუჩაში. ფითოევი საჩქაროდ წაიყვანეს თავის სახლში, სადაც ის მალე გარდაიცვალა.

ქუთაისის ახალი ამბები

∽ ოთხშაბათს, 8 მაისს, ქუთაისის საურთიერთო კრედიტის სადგომში, მოხდა სამეურნეო საზოგადოების „კოლხიდა“-ს წევრთა კრება. განხილულ და დამტკიცებულ იქმნა ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1901 წლის განმავლობაში. სულ გასულ წელს საზოგადოებას ჰქონია 23.635 მანათის ოპერაცია. დივიდენდად წევრებს დაურიგდება 16%. შემდეგ კრებამ დაამტკიცა საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე წლისა, სულ 1500 მანათისა. ბოლოს აირჩია გამგეობის წევრებად: ტრ. ლამბაშიძე (ესვე იქნება დირექტორ-გამგედ) და ონ. სვანიძე. ზოგიერთ საყურადღებო კითხვების განხილვა კრებამ გადასდო შაბათ, 11 მაისისათვის.

∽ ქუთაისის ქალაქის გამგეობა, საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, ქალაქის მამულების ეკლარის ქვის ეკსპლოატაციას შეუდგა. ჯერ-ჯერობით მსურველთ მხოლოდ ქალაქის გამგეობის სადგომში შეუძლიათ დაიკვეთონ წითელი, ცისფერი და თეთრი ქვა. მსურველთ შეუძლიათ აგრეთვე ნებართვა აიღონ და თვითონ მოტეხონ ქვა, მხოლოდ ბაჟი უნდა გადაიხადონ, რის შემდეგაც ბილეთს მიიღებენ. ქვა ქალაქის გამგეობას თვითონ მიაქვს მყიდველთან როგორც თვით ქუთაისში, აგრეთვე ქალაქს გარედაც. ქვის ნიხრი, როგორც გწერდით, ეხლა უფრო ნაკლებია, ვინემ წინათ იყო.

∽ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის მოხელეთა არჩევნები 30 მაისისათვის დაინიშნა.

∽ ქართულ წიგნების გამომცემელი ქუთ. ამხანაგობა ამ დღეებში დაამთავრებს საკუთარ კიოსკის აშენებას. კიოსკს აშენებენ ქალაქის ბაღში და კარგა მოზრდილი და ლამაზი არის. ფორმით ძალიან წააგავს ტფილისის ამხანაგობის კიოსკს, ალექსანდრეს ბაღში რომ არის. კიოსკი ქუთათურ ამხანაგობას რვა-ას მანეთამდე უჯდება.

თელავის და თიანეთის მაზრების თავად-აზნაურთა კრება

5 მაისს, შუადღისას, გაიხსნა კრება თელავისა და თიანეთის მაზრების თავად-აზნაურთა, მათი წინამძღოლის თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით. კრებას ბევრი დაესწრო.

დაიწყეს კამათი უმაღლესად ბოძებულის ფულის 40 ათასი მანეთის სასიკეთოდ მოხმარებაზე. ამის შესახებ სამ ჯგუფად გაიყო კრება: ერთი თხოულობდა, რომ ეს ფული სამეურნეო სასწავლებლის დაარსებას მოჰხმარებოდა, რადგანაც სამეურნეო ცოდნის უქონლობისა გამო მამული ხელიდან ეცლება თავად-აზნაურობას საზოგადოდ და განსაკუთრებით მცირე მემამულეთო; მეორე ჯგუფი თხოულობდა თავშესაფარის დაარსებას ტფილისში თავად-აზნაურთა მოსწავლეთათვის, რადგანაც დღევანდელი ყოფა-ცხოვრება მოსწავლეთა ყოველისმხრით მეტად შემაძრწუნებელიაო; მესამე თხოულობდა მოსამზადებელი სასწავლებლების დაარსებას სადმე პროვინციაში. ამას გარდა გამოითქვა კერძო აზრები. 1) უმჯობესია საგუბერნიო თავად-აზნაურთა კრებისაგან არჩეულ კომისიის დადგენილებას დავეთანხმოთო, რადგანაც ამ კომისიის წევრნი საქმის მცოდნენი არიან, დიდის ხნის მოფიქრების და ყოველ მხრიდან საქმის აწონ-დაწონვის შემდეგ დაადგნენ ამ გადაწყვეტილებასაო; 2) რომ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის კუთვნილი ფულით დაარსდეს ერთი დედათა სასწავლებელი.

აზრთა შეუთანხმებლობის გამო თავმჯდომარემ ამ საკითხზე კენჭის ყრა გადასდო შემდეგისთვის.

მეორე საკითხი იყო თხოვნა თელავის დედათა წმ. ნინოს სასწავლებლის მზრუნველისა, რომ 3000 მან. შემწეობა მიეცეს სასწავლებელს. კრებამ გარდასწყვიტა, იშუამდგომლოს საგუბერნიო თავად-აზნაურთა კრების წინაშე, მიეცეს ამ სასწავლებელს 1000 მან. შემწეობა იმ პირობით, რომ ქართული ენის სწავლება რაც შეიძლება კარგად მოაწყონ.

შემდეგ განიხილეს საკითხი შესახებ საძოვრებისა და იალაღების გაწესრიგებისა; გადასწყვიტეს საგუბერნიო თ-დ-აზნაურთა კრებამ იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ დროებით ვალდებულ გლეხთ მიეცეს საძოვარი სახელმწიფო ტყეში.

შესახებ სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრებების მაისიდან დეკემბერში გადატანაზე ერთხმად გადასწყვიტეს აღიძრას შუამდგომლობა ამის შესახებ.

მეხუთე საკითხი იყო სეტყვის წინააღმდეგ საბრძოლველი მორტირების (ზარბაზნების) მოწყობა-გაწესრიგებაზე. კრებამ დაადგინა: მიენდოს წინამძღოლს თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილს შეადგინოს საქმის მცოდნეთაგან კომისია, რომელმაც უნდა ამ გაწესრიგების პროექტი შეიმუშაოს.

4 საათზე შუადღის შემდეგ კრება გადიდო საღამოს 9 საათისათვის.

საღამოს კამათი ისევ უმაღლესად ბოძებულ ფულის მოხმარებაზე ჩამოვარდა. თავმჯდომარის ნება-დართვით ვრცელი და დასაბუთებული სიტყვა წარმოსთქვა ბ. ი. ზარათიშვილმა, რომელმაც საუმჯობესოდ სცნო დედათა სასწავლებლის დაარსება.

ამის შემდეგ კამათი ისევ გაგრძელდა. მთელმა კრებამ, ერთის გარდა, წინააღმდეგ აზრი გამოთქვა დედათა სასწავლებლის დაარსების შესახებ და გადასწყვიტა: თუ შესაძლებელია, უმაღლესად ბოძებული 40 ათასი მან. დარჩეს განუყოფლად და დაარსდეს ერთი საერთო ორივე გუბერნიისათვის დაწესებულება, თუ არ არის შესაძლებელი, 20 ათასი მან. ორად გაიყოს და თვითეული ნახევრით დაარსდეს ორი მოსამზადებელი სასწავლებელი ორის პროგიმნაზიის კლასითა, ერთი ქართლის და მეორე კახეთის შუა ადგილას; თუ ესეც არ შეიძლება, დაარსდეს თავშესაფარი ტფილისშიო. ამის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა კრება დახურულიაო. კრების დახურვამ მთელი ურიდობა ააღელვა. როგორც აღმოჩნდა, ამოდენა თავად-აზნაურობა კრებაზე მოსულიყო უფრო იმიტომ, რომ გამოეთქვა თავისი უკიდურესი გაჯავრება ახლად შემოღებულ საადგილ-მამულო გადასახადის შესახებ. თავმჯდომარემ აუხსნა კრებას, რომ ამაზე ახლა მსჯელობა არ შეიძლება ვიქონიოთ, რადგანაც გუბერნატორისაგან ნება არა გვაქვს აღებულიო დაჰპირდა, მე ამაზე მოველაპარაკები ბ-ნ გუბერნატორს და გუბერნიის მარშალსაო.

უცხოეთის წვრილი ამბები

ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტ რუზველტის ნადირობა. პრეზიდენტ რუზველტს საშინლად უყვარს ნადირობა. ეხლახან, როდესაც პრუსიის პრინცი ჰენრიხი ამერიკაში მოგზაურობდა, პრეზიდენტმა პრინცს გაატანა იმპერატორ ვილჰელმის გადასაცემად თავის სანადირო ამბების ერთი წიგნი, რომელსაც სახელად ჰქვიან „მსხვილ ფეხ ნადირზე ნადირობა“. ეს წიგნი დიდებულად არის გამოცემული და მასში ბევრი ამბებია მოთხრობილი, რომელიც იმას გადახედია ნადირობის დროს. ჩვენ აქ ერთ ამბავს მოვიყვანთ, რომელსაც პრეზიდენტი მოუთხრობს მკითხველს დათვზე ნადირობის გამო:

„ტყე-ტყე მივდიოდი ჩემი სახლისკენ და უცბად დავინახე, საშინელი დიდი რაღაც სურათი მოაბნელებს... ეს იყო უზარმაზარი ყომრალი დათვი, მძიმედ მობძანდებოდა თავჩაღუნული, ჩემკენ მოდიოდა გვერდ-შექცევით.

მე ბევრი აღარ მომიფიქრია და ვესროლე. როგორც შემდეგში დავრწმუნდი, ფილტვებში მოხვედრიყო ტყვია. დათვმა საშინლად დაიღრიალა და წინ გადმოვარდა, მე გვერდი ავუქციე და ფერდობზე დავეშვი, რომ გზა შემეკრა.

დათვმა ორმოციოდე ადლი გაირბინა და მიიმალა დაფნის ჭალაში, სადაც ის დაბურულ ალაგში მიწვა. მე ტყის ბოლომდის ჩავირბინე და შევდექი, რომ საფრთხე ამეცდინა თავიდან; ამ დროს ჭალიდან კვნესასავით რაღაც შემომესმა. მაშინ მე ჩუმ-ჩუმად დავუყევი ტყის პირს და შევედი წვრიმლიანში, რომ გამეგო, სადა ჰქონდა სორო.

როდესაც იმ ალაგამდის მივედი, სადაც ტყე უფრო თხლად იყო, დათვი მოულოდნელად გამოვიდა

წა-წლის გმირულ მფარველ მეომართა ძარღვებში; იგივე სული ასულდგმულებს პოეტთა, რომელნიც მარადამც ადიდებენ სახელსა და მშვენებას მამულისას! ჩაწნულია ღვინო საქართველოსი, მთელს სამყაროზე უძველესი, ნოესაგან მოგონილი იმ დროს, როცა ის არარატის მთაზე კიდობნიდან გამოვიდა და როცა პირველი ცისარტყელა გამობრწყინდა საქართველოს ცაზე!

„მას შემდეგ მისი ნაყოფიერი და ყოველგვარ პირატესობით შემკული ნიადაგი დაიფარა ვაზით და ამ ნიადაგზედვე დასახლდნენ უმშვენიერესნი ძენი კაცობრიობისა“.

დარბაზი, როცა ბარონ დე-ბაიმ ეს კონფერენცია წაიკითხა, დიდის აღტაცებით უკრავდა ტაშს ლექტორს და ტაშის კვრითვე მიეგება პროექციით ნაჩვენებ სურათებს ჩვენის ცხოვრებიდან. განსაკუთრებით მოეწონათ სურათები ჩვენს მგოსნის აკაკისა და მართლა და კლასიკურის სახის პატრონის თავადის ჯაბა გურიელისა, რომლის თავი ბარონ დე-ბაიმ სამართლიანად დაადარა უკვდავის მხატვრის რაფაელ მამა ზეციერს. დასასრულ თავმჯდომარემ „ალპიურის კლუბის“ საზოგადოებისამ, ანტროპოლოგიო სკოლის ინსპექტორმა ბ-ნმა შრადერმა მადლობა გადაუხადა ლექტორს, რომ ეს ყველაფრით შემკული და ყოველმხრით საინტერესო მხარე, საქართველო გვაცანითო.

კონფერენციას, რა თქმა უნდა, აქაური ქართველ კოლონიაც დაესწრო და ჩვენის ქვეყნის ძვირფას სტუმარს და მეგობარს თავის უანგარო შრომისათვის მადლობა უთხრა, რაზეც ბარონმა გვიპასუხა: „ჩემი ნათქვამი თქვენს ძვირფას სამშობლოს შესახებ ერთია და საქართველო—ათასიო. ვეცადე, ოდნავაც არის ამეწერა თქვენი მხარე, ის ვქენი, რაც შემეძლო და თუ სავსებით ვერ გავაცანი თქვენი ედემისებური სამშობლო და თქვენი თავი ჩემთა თანამემამულეთა, გთხოვთ ქართველურის გულკეთილობითა და სულგრძელებით შემინდოთ და მაპატიოთო.

სანამ პარიზში წაიკითხავდა თავისს მოხსენებას, ბ-ნი ბარონ დე-ბაი 18 აპრილს გაემგზავრება ქ. რენსში, სადაც ნაციონალურის აკადემიის დარბაზში დიდძალის საზოგადოების თანადასწრებით წაიკითხა იგივე მოხსენება. მოხსენების წაკითხვამდე აკადემიის თავმჯდომარემ ბ-ნმა ბურგენმა საზოგადოებას, სხვათა შორის, შემდეგი მოახსენა:

„ბატონებო, ბატონმა ბარონმა დე-ბაიმ, რომელსაც ყველანი კარგად იცნობთ, ინება აქ მოსვლა, რათა გაგვიზიაროს ბევრი რამ საინტერესო, რაც თავის თვალითა ნახა; ჩვენ მოვალენი ვართ მადლობა მოვახსენოთ, რომ სამეცნიერო ასპარეზზე იღვწის, რათა საფრანგეთის სახელი სხვებთან ერთად დიდებულ ჰყოს. დღეს განზრახვა აქვს გვებაასოს ერთის ყოვლის მხრით საინტერესო მხარის, ძველის კოლხიდის, შესახებ. ამ ერთ დროს ზღაპრულმა მხარემ თავისის სიმდიდრით წაიტყუა პირველნი გმირნი საბერძნეთისა, ეს მხარევე იყო, ამორძალთა დალაშქრების მიზნად რომ გაჩნდა. მეორე ზეპირგადმოცემის თანახმად, რომელიც უმეტესად მოხვდება ჩვენს ქრისტიანულს გულს, ედემი, საქაო სამოთხე, სადაც იცხოვრეს ჩვენთა პირველთა მშობელთა, ამ მხარეში იყო. მეცნიერებაც ეთანხმება ამ ზეპირგადმოცემას და კავკასია მიაჩნია როგორც აკვანი ჩვენის რასისა. და აი ბ-ნმა ბარონმა დე-ბაიმ უნდა გაგვაცნოს ეს მხარე, რომელმაც კაცობრიობის პირველი ხანა დაინახა.“

ამის შემდეგ მთელი საღამო ბარონმა დე-ბაიმ თავის კონფერენციას მოანდომა და მეტადაც დააინტერესა მსმენელი საზოგადოება, რომელმაც ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვა ლექტორი.

პარიზიდან ბარონ დე-ბაისთან ერთად დანიშნულს დღეს 8 კაცამდე წავიდა. მათს შორის იყო უგ კრაფტი, ცნობილი მოგზაური, რომელმაც ბარონ დე-ბაისთან ჩვენი ქვეყანაც მოიარა, და ამ სტრიქონების დამწერიც. ხსენებულ აკადემიის წევრნი მეტად სტუმართ-მოყვრულად დაგვიხდა პაზიდან ჩასულებს. ორის დღის განმავლობაში რიგრიგად სტუმრები ვიყავით აკადემიის თავმჯდომარისა ბატონის ბურგენისა, აკადემიისავე წევრების გოსესი, ჟადარისა. შამპანიურ ღვინის სამშობლო ქალაქში არა ერთი და ორი სადღეგრძელო წარმოითქმა მშვენიერ საქართველოს შვილებისა, რომელთა შესახებ ბარონ დე-ბაიმ თავისი უკანასკნელი მოხსენება წაიკითხა. ყველნი ერთმანერთს ეჯიბრებოდნენ ჩვენს პატივისცემაში. დაწვრილებით დაგვათვალიერებინეს რეიმსის შესანიშნავი ტაძარი, მუზეუმი, მდიდარი წიგნთსაცავი, შამპანურ ღვინოების სარდაფები... ქართველისათვის დაუვიწყარი იქნება რეიმსელების თავაზიანობა და ის ინტერესი, რომელიც იმათ კონფერენციის შემდეგ ჩვენის ქვეყნის შესახებ გამოიჩინეს. თუ არა ვსცდებით, ამ ქვეყნის შესახებ საჯარო ლაპარაკი პირველად ესმოდათ რეიმსელებს. განსაკუთრებით ჩვენის მგოსნის აკაკის სახელი დარჩებათ დაუვიწყარად. მისმა პოეზიამ და სახემ მოხიბლა იქაურნი,—ამას გადაჭარბებულის მამულის მოყვარეობით არ ვამბობთ. ვსარგებლობთ ამ შემთხვევით, რომ ერთხელ კიდევ გადავუხადოთ მადლობა ჩვენის ქვეყნის მეგობარს ბარონ დე-ბაის, რომელიც სცდილობს ერთ დროს დიდებული და აწ ყველასაგან დავიწყებული ხალხი ფრანგებს გააცნოს.

მსგავსად წინანდელის კონფერენციებისა, თავისი უკანასკნელი კონფერენციაც ბარონმა დე-ბაიმ ცალკე წიგნად დაბეჭდა მსურველთათვის უსასყიდლოდ დასარიგებლად. შიგ ჩართული აქვს 16 სურათი, თითქმის არაფერია დავიწყებული: ჩვენის სოფლის ცხოვრება, ნიმუშები ჩვენის შინათ წარმოებისა (ხარაგაულის ქურქლები), ნანგრევნი ციხეთა, მონასტერნი (გელათისა, საფარე, მღვიმე), ბაზრობა, სხვა-და-სხვა ჩაცმულობის სახენი, ნიმუშნი ქართულის სილამაზისა, სურათი დავით აღმაშენებლისა, ხახულის ღვთის-მშობლის ხატისა და სხ. განსაკუთრებით ღირსებას ჰმატებს წიგნს ძველის საქართველოს რუკა, წიგნის ტანის სიდიდედ დაბეჭდილი. წიგნს სათაურად აქვს „En Jmérethie“ („იმერეთში“) და შეიცავს 55 გვერდს.

თ. ს.

პირდაპირ მხრიდან, იმ ადგილზე ცოტა ზევით, სადაც მე ვიდექი გორაკზე. ის ჯერ კიდევ გვერდგვერდ მოდიოდა, მაგრამ უცბად თავი მოიბრუნა ჩემკენ. სისხლიანი დორბლები გადმოსდიოდა პირიდან და თვალები ნაკვერჩხალივით უელვარებდა.

მე ადგილიდან ფეხი არ მოვიცვალე და დავუმიზნე თოფი ბეჭ ქვემოდან, მაგრამ ტყვია გულს იქით მოხვდა.

მაშინ ეს საშინელი გაბრაზებული მხეცი ჩემკენ გამოტრიალდა საშინელის ღრიალით და სისხლიანი დორბლებით; გამოსწია ჩემსკენ თეთრის დაკრეჭილის კბილებით და მთელ არე-მარეს მოამტვრევდა და თან მოჰქონდა. მე საშინლად გამიძნელდა თოფის დამიზნება და შევდექი, ვიდრე ის მოჭრილ ხესთან მოვიდოდა და როგორც კი შებობღდა ხეზე გადმოსასლელად, ვესროლე პირდაპირ გულში. დათვმა არც კი წაიბორძიკა და მაშინ ვიფიქრე, რომ ტყვია ავაცდინე. ის მკაცრად მოდიოდა და ერთი თვალის დახამხამებაში ჩემ გვერდით გაჩნდა. მე დავუმიზნე შუბლში, მაგრამ ტყვია დაღრენილს პირში მოხვდა, ყბა ჩაულეწა და სასაში შევიდა.

როგორც კი ჩახმახს გამოვწიე, მაშინათვე გვერდზე გადავხტი და პირველად ამ ბოლოში დავინახე, რომ თათი გამოეშვირა ჩემკენ. გამოქანებულს გზა აერია და ყირამალა გადაიარა, ნახტომი შეეშალა. მაგრამ მალე გამოიწია და გაიმართა, სანამ მე მოვასწარი თოფში ორი სროლა ჩამედო და მეტიც აღარა მქონდა.

თუმცა წამოიწია საწყალმა, მაგრამ ძალა აღარა ჰქონდა, წელში გასწორებულიყო: თვალები დაბჟუტა, თავი ჩაჰკიდა და საშინლად დაეცა მიწაზე... მეც კი მეტი ძალა აღარა მქონდა".

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 მაისი

პეტერბურგი. 10 მაისს ხელმწიფე იმპერატორი და პრეზიდენტი ერთის ეკიპაჟით, ხოლო დედოფალი და ხელმწიფე მემკვიდრე მეორე ეკიპაჟით მობრძანდნენ სადგურზე ცარსკოე სელოში, იქიდან წაბძანდნენ პეტერგოფში სამხედრო ნავთსადგურზე, სადაც ელოდნენ იმათ დიდი მთავრისები, დიდნი მთავარნი და ამალა; მთელ გზაზე ვოგზალიდან ნავთ-სადგურამდე ჩამწკრივებულნი იყვნენ ლეიბ-გვარდიის ულანები; ნავთ-სადგურზე საპატიო დარაჯი იდგა. მუსიკა მიეგება, ამ დროს მუსიკა მარსელიეზას უკრავდა ხელმწიფე იმპერატორმა და პრეზიდენტმა შემოუარეს ჯარს და ამალით „ალექსანდრიაზე" გადავიდნენ, თან მიჰყვნენ სამეფო საგვარეულო პირნი. საიმპერატორო გემმა ამართა ხელმწიფე იმპერატორის შტანდარტი და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბაირაღი და გაემგზავრა კრონშტადტის რეიდზე. გემს ზარბაზნის სროლით დახვდნენ „კასსინი"-დან. პრეზიდენტი ამალითი გადავიდა „მონკალმ"-ზე. შემდეგ ამისა ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, სამეფო საგვარეულო პირნი, მინისტრები და ამალა გადაბძანდნენ „მონკალმ"-ზე, სადაც აიმართა იმპერატორო შტანდარტი პრეზიდენტის ბაირაღის გვერდით. მათ უდიდებულესობათ პრეზიდენტი და ადმირალი რუსტანი რუსეთის საერო ჰიმნით შეხვდნენ. გემზე საპატიო დარაჯი იდგა. დიდებულმა სტუმრებმა საპატიო დარაჯს ჩამოუარეს და მიესალმნენ, შემდეგ შებრძანდნენ დიდებულად მორთულს კარავში, რომელიც ცხრა ოთახისაგან შესდგებოდა, და გაიარეს სადღესასწაულო სასტუმროში; შემდეგ დიდს სასადილოში გაიმართა საუზმე. საუზმეზე ქვემო მოყვანილი სიტყვები წარმოითქვა. ხელმწიფე-იმპერატორმა აჩუქა საფრანგეთის ფლოტს დიდებული ვაზა ვერცხლისა, ძვირფასის თვლებით შემკული; ამ ვაზას ბრესტში შეინახავენ. კრეისერის დათვალიერების შემდეგ მათი უდიდებულესობანი წამობძანდნენ პრეზიდენტთან ერთად „ალექსანდრიაზე", საიდანაც, შემდეგ გულითადის გამოთხოვებისა, პრეზიდენტი დაბრუნდა „მონკალმ"-ზე, რომელიც ხუთი საათის დასაწყისზე გავიდა ზღვაში. 4 საათსა და 20 წუთზე საიმპერატორო გემი გაემგზავრა პეტერგოფს.

„მონკალმ"-ზე საუზმის დროს პრეზიდენტმა შემდეგი ტოსტი წარმოსთქვა: „ხელმწიფევ, თქვენის მობძანებით მის უდიდებულესობა დედოფალთან ერთად „მონკალმ"-ზე ისეთი პატივი ეცით საფრანგეთის ფლოტს, რომელსაც იგი ღრმად იგრძნობს. ჩვენის მეზღვაურების გრძნობა თავის მეგობარ რუს მეზღვაურებისადმი შემთხვევას არ უშვებს, რომ თავის-თავი გამოამჟღავნოს. ეს მოხდა გუშინ-წინ შორ აღმოსავლეთის წყლებში, ეს მოხდა გუშინ ხმელთა შუა ზღვაში და ყველგან *).. მათ ქვეყნების თანხმობა და ერთობის ნიშანი. მე წავიღებ თან თბილსა და აღმოუშლელ მოგონებას სტუმართ მოყვარე იმპერიაში ყოფნის გამო და საფრანგეთი, რომელმაც შეიტყო *).., მიღება, რომელიც გაუკეთეს მის წარმომადგენელს, დარჩება ერთგული კავშირისა, რომლის კეთილ ზედ-მოქმედებას რუსეთთან ერთად იგიც აფასებს. ვუსურვებ რუსეთის მამაც ფლოტს გამარჯვებასა და დიდებას".

ხელმწიფე იმპერატორმა უპასუხა: „მეტად სასიამოვნოა დედოფლისა და ჩემთვის საფრანგეთის მამაც მეზღვაურთა შორის ყოფნა და განსაკუთრებულ სიამოვნებას ვგრძნობთ იმის გამო, რომ ამ მშვენიერ გემზე ყოფნით ჩვენ საფრანგეთის ტერიტორიაზე ვართ. გულითად მადლობას გწირავთ ნახვისათვის და გთხოვთ გადასცეთ ჩვენი უგულითადესი სალამი და ყოველ სიკეთის სურვილი საფრანგეთს, რუსეთის ერთგულ და უცვლელ მოკავშირეს. ვუსურვებ საფრანგეთის სახელოვან ფლოტს წარმატებას".

ქერჩი. დღეს დაიწყო მოქმედება კომისიამ, ქალაქის უფროსის თავმჯდომარეობით, რათა დაადგინონ აზოვის ზღვის ნავთ-სადგურების ნავთოსნობის და ვაჭრობის პირობანი.

პარიზი. „სიეკლ" ულოცავს საფრანგეთს იმ დიდებულ დახვედრას, რომელიც ლუბეს აღმოუჩინეს რუსეთში, და დასძენს, რომ საფრანგეთისა და რუსეთის კავშირი ამტკიცებსო, რომ რესპუბლიკამ იცის დიპლომატიის ჯეროვანად წაყვანა, როდესაც საქმე ეხება საფრანგეთის ბედ-იღბალს, როდესაც მმართველებმა ისეთი გზა აირჩიეს, რომელიც მთელ ერს მოსწონს. ოკრასნოსელსკის სადღეგრძელოები ამტკიცებენ, რომ ორივე სახელმწიფოს მეთაურებმა შეიძლეს პოლიტიკური კავშირის დაცვა და განმტკიცება, რაიც ორივე მხარეს უეჭველ უპირატესობას აძლევსო.

ლონდონი. „დაილი ქრონიკლი" იტყობინება, რომ ბურების სარდლებს,—კიტჩენერსა და მილნერს შუა მოლაპარაკება იმდენად კარგა მიდის, რომ მშვიდობიანობის ჩამოგდება უზრუნველ ყოფილაო. მტრულ მოქმედებას მოსპობენ.

კრონშტადტი. 12 საათზე პეტერბურგში გამოსასალმებლად დასცალეს ზარბაზნები. პირველ საათზე „ალექსანდრია" ზღვაში გავიდა და „მონკალმ"-ზე ორი შტანდარტი აიმართა. რუსეთის შტანდარტი ოთხ საათზე დაეშო. „ალექსანდრია" პეტერგოფში დაბრუნდა. ხუთ საათზე „მონკალმ"-ი გადუდგა გზას, მას მიჰყვნენ სხვა გემებიც. როდესაც საფრანგეთის გემებმა კუპეჩესკაია სტენკა გაიარეს, ნავთსადგურის მუსიკამ მარსელიეზა დაუკრა; ხალხი აღტაცებით ეგებებოდა; რუსეთის გემებიდან ზარბაზნები დასცალეს, რასაც პასუხი მისცეს საფრანგეთის გემებმა. საზღვაო სამინისტროს მმართველმა გააცილა ესკადრა.

ლონდონი. „სენ ჯემს გაზეტტ."-ს სიტყვით, კიტჩენერის დეპეშა, რომლის გამოც მინისტრთა საბჭო მოიწვიეს, ჯერ კიდევ საიდუმლოა. საბოლოო გადაწყვეტილებას არ უნდა ველოდეთ.

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია"-ში დაბეჭდილია ბეჭდვითი სიტყვის ბანკეტზე წაკითხული გენერალ ბოგდანოვიჩის დეპეშა.

ცხრა მაისს, ლეიბ-გვარდიის კირასირის პოლკის დღესასწაულის დღეს, გატჩინოში უმაღლესის თანადასწრებით მოხდა საეკლესიო პარადი ბოლკისა.

უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორი ათ მაისს პეტერბურგში დაბრუნდა.

11 მაისი

პეტერბურგი. სამხედრო ინჟინერი, პოლკოვნიკი კლოკაჩევი დაინიშნა ნიკოლოოზის საინჟინერო აკადემიის პროფესორად.

ვარშავა. „კურიერ ცადენ."-ს გაუგია, რომ ვარშავასა და ბერლინს შუა ტელეფონის გამართვის პროექტი პრინციპიალურად დაუმტკიცებიათ.

„ვარშავის დნევნიკ"-ი იუწყება, რომ დანიის ფაბრიკანტებმა ისარგებლეს ანტიგერმანიის აგიტაციით და კარგად ვაჭრობენ აქ სამეურნეო მანქანებით და ზეთით.

ხარკოვი. იზუმსკის მაზრაში რვა ახალ სკოლას აშენებენ, ერთი ამათგანი 120 შაგირდისათვის იქმნება. ხარჯი 40,000 მან.

პეტიგორსკი. კავკასიის სამკურნალო წყალთა ინსპექტორმა დღეს ჩაჰყარა საძირკველი სახაზინო სასტუმროსა ჟელეზნოვოდსკსა და ესენტუკში. სასტუმრო 350 ოთახი იქნება. კისლოვოდსკში 40 დესეტინაზე გააშენეს პარკი და მოთავდა კიდეც. აგრეთვე გამართულია სასტუმრო რესტორანით. საბანაო კაბინეტები ნარზანზე ბევრად მოემატა. გამოწვეულია უზარ-მაზარი შენობა ნარზანის წყლით საბანაოს მოსაწყობად.

ბათუმი. პატარა გემი „ველენჯიხი" ივლის დღეიდან სოხუმ-გაგრას შუა. შეივლის ახლად დაარსებულ კოლონიებში. გემზე ასი კაცის ადგილია.

---

*) გამოტოვებულ ადგილების გამო დეპეშის განმეორებაა ნათხოვნი პეტერბურგში.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 3 მაისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,20
პერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,90
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$96^3/_4$ გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	$98^3/_4$ მყიდვ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$475^1/_2$ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	364 მყიდვ
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	$294^3/_4$ გაყიდ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	$85^5/_8$ „
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	$89^3/_4$
$4^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	162 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი - დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (ს ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 1 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 წ. (4 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა; სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., დარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნიშვილი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ელიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩათახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავად მყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი შ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოდლიუსტისა.

განცხადებანი

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კონტორა

უმორჩილესადა სთხოვს ამხანაგობის წევრთ, გამოუგზავნონ კონტორას თავიანთი ადრესები მდგომარე მაისის ოც-და-შვიდამდე.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—ლ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
და-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა		50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფასდადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნებისფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тфлисъ Грузинское Издательское Товарищест.

ზ ი ნ

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

ვერის მოედანზე, ყაჯანთ

ისყიდება საუკეთესო გაცხავებულ და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 ფუთი 40 კ.

ტელეფონი № 754. (წ.).

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან ხელით ნახატებიდან.

Дозволено цензурою Тифлисъ, 11 Мая 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობის.